ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-30

2011 წლის 12 აპრილი
ქ. ქობულეთი

„თვითმმართველ ქ. ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 სექტემბრის №-90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „თვითმმართველ ქ. ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 სექტემბრის №-90 განკარგულებაში და თვითმმართველ ქ. ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის შეიცვალოს საზღვარი თვითმმართველი ქ. ბათუმის საზღვრებში მოექცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 273.8 ჰა ფართობით წარმოდგენილი სქემატური რუქის შესაბამისად.

2. ეთხოვოს თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს პირველი პუნქტის შესაბამისად შეტანილი ცვლილების თანახმად ადმინინისტრაციული საზღვრის შეცვლასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**